რუსუდან სულამანიძე

სოციალიზმი, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივა და კონფლიქტი შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში

10.01.2017 წელი

შესავალი..... 3

1.სოციალიზმი, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივა, ურთიერთშედარება და განმასხვავებელი კრიტერიუმები..... 4

1.1კაპიტალიზმის ცნება, განვითარების საფეხურები..... 4

1.2 სოციალიზმის, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივა..... 6

1.3სოციალიზმისა და კაპიტალიზმის შედარება..... 7

2. .ეკონომიკის სოციოლოგიის განვითარება სოციოლოგიის კვალდაკვალ..... 9

2.1 კარლ მარქსი ეკონომიკის სოციოლოგიის შესახებ..... 9

2.2 მაქს ვებერი ეკონომიკური სოციოლოგიის შესახებ..... 10

2.3 ემილ დიურკჰეინი ეკონომიკის სოციოლოგიის შესახებ..... 11

3. სამუშაოს და ეკონომიკური ცხოვრების ურთიერთმიმართება, პრობლემები თანამედროვე შრომის ბაზარზე და შ.შ.მ პირები დამსაქმებლის დისკრიმინაციის საფრთხეში 12

3.1 სამუშაოის როლი თანამედროვე ეკონომიკურ ეპოქაში..... 12

3.2 კონფლიქტი შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში და პროფესიული კავშირები დასაქმების პრობლემის წინააღმდეგ 14

3.3 შშმ პირთა დასაქმების პრობლემა თანამედროვე შრომის ბაზარზე..... 16

შესავალი

ეკონომიკა სოციალური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. ეკონომიკა ზოგადად მოიაზრება, როგორც: საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა. ეკონომიკის განვითარება თავის მხრივ დაკავშირებულია კაპიტალიზმთან.კაპიტალიზმი ეკონომიკური სისტემის მოწყობის არა ერთადერთი, მაგრამ ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ამ უკანასკნელში აღიარებულია კერძო საკუთრება, ხოლო სამეწარმეო ურთიერთობები მეტად განვითარებული, ვინაიდან კაპიტალისტურ სისტემაში სავაჭრო კონკურენცია და სამეწარმეო ბაზრის თავისუფლება ამომავალი ფუძემდებლური პრინციპებია. ხოლო კაპიტალიზმის ალტერნატივა-სოციალიზმი, კონკურენციასთან შდარებით უპირატესობას სოციალურ თნამშრომლობას ანიჭებს და საზოგადოების საჭიროებას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე შეძლებული სოციალური კლასისას.

ტერმინის ეკონომიკური სოციოლოგიის განსაზღვრა და ჩამოყალიბების ისტორია მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკის სისტემის სოციალური ანალიზისათვის, რაშიც უდიდესი როლი ითამაშეს კარლ მარქსმა, მაქს ვებერმა, ემილ დიურკჰეიმმა და სხვამ.

თანამედროვე ეპოქაში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სამუშაო, ეკომომიკური ცხოვრების თანმდევი შედეგია, რომელიც ასევე წარმოადგენს თითოეული პიროვნების უნარჩ-ვევების რეალიზების და შემოსავლის წყაროს საშუალებას. თუმცა პრობლემური და აქტუალურია შრომის რესურსების არათანაბარი განაწილების საკითხი, რასაც შედეგად სდევს უმუშევრობის პრობლემა. განსაკუთრებით აღნიშნული ეხება შშმ პირებს, რომლებიც მეტნაკლებად ექცევინა დამსაქმებელთა მხრიდან დისკრიმინაციის განხორციელების ქვეშ.

შესაბამისად, მოცემულ თემაში განხილული იქნება ზემოთ ნახსენები თითოელი საკითხი, კერძოდ: ეკონომიკის, კაპიტალიზმის, სოციალიზმის ცნებები და მათი ურთიერთმიმართება, ეკონომიკის სოციოლოგიის განვითარების ისტორია და თეორიტიკოსების შეხედულებები, კონფლიქტი შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში და პროფესიული კავშირების საკითხი, შშმ პირთა დასაქმების პრობლემა შრომით ბაზარზე.

ნაშრომში დასმული პრობლემების გადასაჭრელად და ეფექტური გზების მოსაძებნად ჩატარებულ იქნა კვლევა, რომელიც ასევე წარმოდგენილია სტატისტიკური შედეგების სახით.

1.სოციალიზმი, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივა, ურთიერთშედარება და განმასხვავებელი კრიტერიუმები

1.1 კაპიტალიზმის ცნება, განვითარების საფეხურები

სიტყვა „ეკონომიკა“ბერძნულია და ნიშნავს ადამიანს,რომელიც საოჯახო მეურნეობას უძღვება.ოჯახის მსგავსად ,საზოგადოებაც მრავალი არჩევანის წინშე დგას და მან უნდა გადაწყვიტოს , ვინ რა სამუშაოებს შეასრულებს.საზოგადოების რესურსების მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან რესურსები შეზღუდულია.შეზღუდულობა ნიშნავს, რომ საზოგადოებას იმაზე ნაკლების შეთავაზება შეუძლია,ვიდრე ხალხს სურს.საზოგადოება ვერ უზღუნველყოფს თითოეულ ინდივიდს ცხოვრების იმ უმაღლესი დონით,რომლის მიღწევაც ამ ინდივიდებს სურთ. სწორედ იმის შესწავლაა ეკონომიკა , თუ როგორ მართავს საზოგადოება ამ შეზღუდულ რესურსებს.თითქმის ყველა საზოგადოებაში რესურსები ნაწილდება არა ერთი ცენტრალური მგეგმავის მიერ,არამედ მილიონობით საოჯახო მეურნეობებისა და ფირმის კომბინირებული საქმიანობის მეშვეობით.

ეკონომისტები შეისწავლიან როოგრ იღეებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს:რამდენი იმუშაონ,რა იყიდონ , რამდენი დაზოგონ და როგორ დააბანდონ. ეკონომისტები შეისწავლიან ადამიანთა ურთიერთქმედებას(მყიდველთა და გამყიდველთა ერთობა) და ზოგადად, ეკონომისტები აანალიზებენ მთლიანად ეკონომიკაზე მოქმედ ძალებს. ეკონომიკა სულაც არ არის რაიმე უჩვეულო , ეკონომიკა არის მუდმივ ურთიერთქმედებაში მყოფი ადამიანთა ჯგუფი.ეკონომიკის ქცევა ასახავს იმ ადამიანთა ქცევას,ვინც ეკონომიკას შეადგენს.ეკონომიკის განვითარება თავის მხრივ დაკავშირებულია კაპიტალიზმთან.კაპიტალიზმი ეკონომიკური სისტემის მოწყობის არა ერთადერთი, მაგრამ ყველაზე გავრცელებული ფორმაა. კაპიტალიზმის იდეოლოგია იმდენადაა ფესვგადგმული ამერიკულ კულტურაში, რომ მისი ნებისმიერი ალტერნატივა არაბუნებრივად გვეჩვენება. (კალჰუნი)

კაპიტალისტური სისტემის ზუსტი ფორმა არ არსებობს,მაგრამ მის ყველა ფორმას ოთხი ძირითადი მახასიათებელი აქვს:

1.წარმოების საშუალებების კერძო საკუთრება;

2.დაინტერესება და მოგების მოტივაცია,როგორც ძირითადი ეკონომიკური წამახალისებელი ფაქტორები;

3.შრომის, ნედლეულისა და პროდუქციის კონკრეტული ბაზარი;

4.საწარმოო დაწესებულებების დაფუძნებისა და გაფართოების მიზნით განხორციელებული მრავალჯერადი ინვესტიციები, რასაც კაპიტალის დაგროვება ეწოდება.

კაპიტალიზმის იდეალური ფორმა ამ ოთხი კომპონენტისგან შედგება.

ამ მახასითებლებიდან პირველი, ალბათ,ყველაზე იოლია გასაგებად.ნამდვილ კაპიტალისტურ სისტემაში წარმოების ყველა მატერიალური საშუალება-დაწყებული სასოფლო მიწებით,დამთავრებულის ნავთების გადამამუშავებელი და ბურთულიანი კალმების მწარმოებელი ქარხნებით _ცალკეული პირების ან კორპორაციების და არა სახელმწიფოს საკუთრებაა.კაპიტალისტური იდეოოლოგიის მიხედვით, კაპიტალის კერძო საკუთრება ხელშეუხებელი უფლებაა.კაპიტალისტურ სისტემაში ძალაუფლება ეკუთვნის კაპიტალის მესაკუთრეებს და არა იმ მუშებს,რომელთაც საწარმოო პროცესში უშუალო მონაწილეობით კაპიტალის წარმოქმნა-დაგროვებაში შეაქვს წვლილი.(კალჰუნი)

კაპიტალიზმის მეორე განმსაზღვრელი თვისება ეხება ადამიანების ეკონომიკურ არჩევანს.კაპიტალისტურ სისტემაში არჩევანი ეფუძნება დაინტერესებას.მომხმარებლები იმ პროდუქტს და მომსახურებას იღებენ რომელიც სურთ(არჩევანი ამ შემთხვევაში შეზღუდული შეიძლება იყოს მხოლოდ მათი გადახდის უნარით);მუშები საკუთარი სურვილით ირჩევენ სამსახურებს (არჩევანი იზღუდება მათი გამოცდილებით, პროფესიული მომზადებითა და განათლებით); მწარმოებლები ირჩევენ ამ პროდუქციას და მომსახურებას, რომლის გაყიდვის სურვილიც აქვთ (ისინი იზღუდებიან მხოლოდ საინვესტიციო თანხით,ნედლეულით) მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ზემო აღნიშნული შეიძლება ეგოისტურ ეკონომიკურ არჩევნად მოგეჩვენოთ, ამ გადაწყვეტილების საერთო შედეგი საკმაოდ მომგებიანია საზოგადოებისათვის.სწორედ ამ კონცეფციას დაუჭირა მხარი ადამ სმიტმა საკუთარ ნაშრომში „სახელმწიფო და სიმდიდრე“ (1776/1796).ამ ნაშრომში მან თანამედროვე კაპიტალიზმის იდეოლოგია განავითარა. სმიტის მიხედვით, თვითდაინტერესებით მოტივირებული ეკონომიკური არჩევანი განაპირობებს იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებას,რომელიც დამოკიდებულია მომხმარებლის სურვილზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს საზოგადოების ქონების შესაბამის ზრდას.ამგვარად, მილიონობით ადამიანის არჩევანი, რომელიც ეფუძნება მათ ინტერესსა და მოტივაციას,განაპირობებს ეკონომიკის ფუნქციურ ინტეგრაციას.(კალჰუნი)

ცხადია,მწარმოებელთათვის გადამწყვეტი მოტივაციაა მოგების მაქსიმალურად გაზრდა და,შესაბამისად ქონების დაგროვება და ავტორიტეტის ამაღლება.როგორ შეიძლება, რომ ამგვარმა,ერთი შეხედვით ეგოისტურმა მოტივმა, სარგებელი მოუტანოს მთელ საზოგადოებას? სქმე იმაშია, რომ მწარმოებლები მუდმივად ცდილობენ,ახალი პროდუქცია მომხმარებელთა სურვილის გათვალისწინებით გამოუშვან და ამავე დროს მოიძიონ ახალი მეთოდები,რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება პროდუქციის ღირებულების შემცირება(დაბალი ფასი ნიშნავს,რომ პროდუქცია დიდი რაოდენობით გაიყიდება და,შესაბამისად,მწარმოებელი უკეთეს

მოგებას ნახავს თითოეულ გაყიდულ ერთეულზე) რის შედეგადაც ხდება რესურსების ეფექტური გამოყენება და მომხმარებელი იღებს სასურველ საქონელსა და მომსახურებას სასურველ ფასად.აქედან გამომდინარე,მოგებული რჩება ყველა,საწარმოს ჩათვლით. (კალჰუნი)

კონკურენტული ბაზარი კიდევ ერთ შედეგს იწვევს კაპიტალისტურ სისტემაში.კერძოდ_მწარმოებლები მოტივირებულები არიან,მოგების ნაწილი ბიზნესის გასაუმჯობესებლად დააბანდონ. მაქს ვებერის აზრით,კაპიტალიზმი ნიშნავს „წარმოების მხოლოდ და მხოლოდ მოგების გაზრდის მიზნით“ (1905/1958) კაპიტალისტებს არ შეუძლიათ, გულხელდაკრეფილები ისხდნენ და დატკბენ მოგებითა და კარგი ცხოვრებით.ასეთ შემთხვევაში მათი კონკურენტები ისარგებლებენ და შეიძლება იმდენიც კი მოახერხონ,რომ განცხრომას მიცემული ბიზნესმენები ბაზარს ჩამოაშორონ.ამიტომ კაპიტალისტები საკუთარი მოგების ნაწილს წარმოების მეთოდების გაუმჯობესებაში ხარჯავენ და ამით ინარჩუნებენ(და ხშირ შემთხვევაში იზრდიან) კონკურენციის გაწევის უნარს.ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ ვებერი ამტკიცებდა,რომ რელიგიური ღირებულებების შეცვლამ, რაც დაკავშირებულია პროტესტანტულ რეფორმაციასთან, ხელი შეუწყო თანამედროვე კაპიტალიზმისთვის საჭირო კომპონენტების აღმოცენებას. ქრისტიანებს მოუწოდებდნენ,რომ თავი აერიდებინათ ფუფუნების ნივთებისათვის, ჩაეცვათ სადად და უბრალოდ, ემუშავათ გულდასმით და მიეღწიათ წარმატებისათვის.(კალჰუნი)

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმის ბუნებრივ მოვლენად გვეჩვენება, ისე ყოველთვის როდი არსებობდა. ამ სისტემამ დამკვიდრება და ეკონომიკაშიგაბატონება მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ეს ის დროა, როდესაც ბრიტანეთის ინდუსტრიული რევოლუციის მაგალითს გერმანიამ,საფრანგეთმა და აშშ-მაც მიბაძა. მანამდე ყველა საზოგადოებაში ქონების დაგროვების ძირითადი წყარო და უმთავრესი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო.(კალჰუნი)

ინდუსტრიული კაპიტალიზმის უნარმა, გაეზარდა ეროვნული კაპიტალი, მორალურად გაამართლა ამ სისტემის არსებობა. მანამ, სანამ კაპიტალიზმის აღმასვლა დაიწყებოდა, მოგების მოტივაცია ადამიანის სიხარბესთან იყო დაკავშირებული. კაპიტალიზმის პერიოდში კი მოგების მოტივაცია მოიაზრება, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო რამ. სოციალურმა თეორიტიკოსმა ბერნარ დე მანდევილმა შეაჯამა ეს ახლებური ხედვა და განაცხადა, რომ ზოგი „მანკი“ შეიძლება „საზოგადოებისათვის სასარგებლო“იყოს. მისი მოსაზრება ეფუძნება ზნეობის_სარგებლის ძებნა და გამდიდრება შეიძლება ეგიუსტური საქციელია, მაგრამ ამ გზით ადამიანს სარგებელი მოაქვს არა მარტო საკუთარი თავისათვის, არამედ საზოგადოებისთვისაც. თანაც ამას შეიძლება სრულიად გაუცნობიერებლად აკეტებდეს (დიუმონი,1977;ჰირსმანი,1977). (კალჰუნი)

თანამედროვე კაპიტალიზმმა არა მხოლოდ შეცვალა წარმოება, არამედ მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი განაწილება. თუკი აქამდე ვაჭრობა ძირითადად ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, რადგან შორ მანძილზე საქონლის გადატანა რთული და სარისკო საქმე იყო, კაპიტალიზმმა ხელი შეუწყო სხვადასხვა სახელმწიფოს ბაზრების გაერთიანებას გზებისა და რკინიგზის მშენებლობით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება და დარეგულირება. ბაზარი გაფართოვდება იქამდე, სადამდეც შესაძლებელი იყო საზღვაო ხომალდების მიმოსვლა. როგორც კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი აღნიშნავდნენ, მთელ დედამიწაზე პროდუქციის ბაზრის მუდმივად გაფართოების საჭიროება სდევნის ბურჟუაზიას. კაპიტალიზმის გავრცობა ინდუსტრიული რევოლუციიდან იწყება და ჯერ კიდევ გრძელდება. კაპიტალიზმი იყო ევროპელების მიერ მთელი დანარჩენი მსოფლიოს კოლონიზაციის მცდელობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეებში.მაგალითად, ბრიტანეთმა ინდოეთის დაპყრობის შემდეგ მთლიანად ამოძირკვა ადგილობრივი საფეიქრო ინდუსტრია და ინდოელები იძულებულები გახდნენ, ბრიტანული ტანსაცმელი შეეძინათ. (კალჰუნი)

1.2 სოციალიზმი, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივა

კაპიტალიზმის ალტერნატივა-სოციალიზმი, კონკურენციასთან შედარებით უპირატესობას სოციალურ თნამშრომლობას ანიჭებს და საზოგადოების საჭიროებას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე შეძლებული სოციალური კლასისას.სოციალიზმის მისაღწევად ყველაზე გავრცელებული მიდგომები გულისხმობს წარმოების საშუალებების კონტროლს ან საკუთრებას მთლიანად საზოგადოების ან მუშათა თემების მიერ.

სოციალიზმის კონცეფცია XIX საუკუნეში განვითარდა იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმს.კაპიტალიზმის იდეამ ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში ბევრზე შოკისმომგვრელი ეფექტი მოახდინა. ადრინდელი ნახშირზე მომუშავე ქარხნები გამონაბოლქვით უკიდურესად აბინძურებდნენ გარემოს. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ათასობით მუშა სამუშაოს გარეშე დატოვა. მთელი მოგება ქარხნების მფლობელების ჯიბეებში მიდიოდა და არა იმ მუშებისა, რომლებიც რეალურად ქმნიდნენ პროდუქციას. მფლობელები ხშირად ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ მუშათა თავყრილობისათვის, რადგან საფუძვლიანად შიშობდნენ, რომ ასეთი თავყრილობები შრომითი კავშირების დაარსების საფუძველი გახდებოდა. კრიტიკოსებმა დაიწყეს გამოსვლები „მორალური ეკონიმიკის“ მოთხოვნით (ტომსონი,1968). მათ სურდათ სისტემა, სადაც არ იარსებებდა არა მხოლოდ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი მანკიერებები(მაგალითად, არასრულწლოვანთა შრომა, საშიში სამუშაო პირობები, დაბალი ხელფასების და გრძელი

სამუშაო დღე),არამედ, შენარჩუნდებოდა ტრადიციული სათემო ცხოვრება, რომელსაც კაპიტალიზმი ნელ-ნელა ანადგურებდა. სწორედ ამ სიტუაციაში ჩამოყალიბდა სოციალიზმი.

1.3 კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შედარება

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გამოვკვეთოთ განსხვავება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, კერძოდ **სოციალიზმი** ეს არის იდეოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სოციალური თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობას; ასევე საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ასეთ პრინციპებს ემყარება, პილოტიკური მიმართულება; საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რომელშიც წარმოების საშუალებები საზოგადოებრივ საკუთრებაშია. სოციალიზმი ქადაგებს ადამიანის მიერ სხვა ადამიანის ექსპლუატაციის ყველა ფორმების ლიკვიდაციას. სოციალისტურ საზოგადოებაში მიღწეულია სრული სახალხო მმართველობა, სოციალური თანასწორობა, მაქსიმალურად მინიმუმამდეა დაყვანილი ეკონომიკური დიფერენციაცია; გარანტირებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლება. ხოლო, რაც შეეხება კაპილალიზმს, იგი არის ეკონომიკური სისტემა, რომლის დროს წარმოების საშუალებები კერძო საკუთრებაშია და ფართოდ გამოიყენება დაქირავბული შრომა. კაპიტალიზმის მთავარი მახასათებლებია: კერძო საკუთრება, კაპიტალის აკუმულაცია, დაქირავებული შრომა, შეჯიბრებითობის პრინციპი. კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში მხარეები ადგენენ ფასს, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, საქონლის, მომსახურების გადაცვლა. პრაქტიკაში გვხვდება კაპიტალიზმის შემდეგი ფორმები: - laissez-faire; free market; თავისუფალი ვაჭრობა; - welfare capitalism - წყობილება, რომელიც სოციალურ კეთილდღეობაზეა დაფუძნებული (სკანდინავიის ქვეყნები); - crony capitalism - ეკონომიკური მოდელი, სადაც ნაკლებად ხდება სახელმწიფოს ინტერვენცია და ეს უკანასკნელი გამოიხატება გარკვეული რეგულაციების შემსუბუქებაში, იმისთვის რომ მოხდეს ბიზნესის წახალისება; - corporatism - პოლიტიკური თეორია, სადაც მმართველობა არის სოციალური ჯგუფების და არა ცალკეული სუბიექტების ხელში, ე.წ. „ქრისტიანული დემოკრატია“.

2.ეკონომიკის სოციოლოგიის განვითარება სოციოლოგიის კვალდაკვალ

კ.მარქსი

ტერმინი ეკონომიკური სოციოლოგია და ეკონომიკის სოციოლოგიური ანალიზის პირველი მცდელოებები უკავშირდება მ. ვებერის და ე. დიურკჰეიმის სახელებს.თუმცა, ეკონომიკური სოციოლოგიის ინტელექტუალურ ტრადიციაზე საუბრისას ხშირად მოიხსენიებენ ა. სმიტის შ. მონტესკიესა და კ. მარქსის სახელებს. (ლია მეზვრიშვილი)

ეკონომიკური სოციოლოგიის „გენეალოგიური სავარჯიშოს“ ერთ-ერთი მაგალითია კ. პოლანის მიერ სოციალური თეორიების დაყოფა ე.წ „ეკონომისტური“ და სოციეტალური აზროვნების კრიტერიუმების მიხედვით. სოციეტალურ მოაზროვნეებს მიეკუთვნებიან რიკარდო, მალთუსი. მაქს ვებერის სოციოლოგია წარმოდგენილია როგორც ამ ორი მიდგომის სინთეზის პირველი მცდელობა.(ლია მეზვრიშვილი)

რაც შეეხება ეკონომიკისადმი სოციეტალური მიდგომის მომხრეებს მე-20 საუკუნის ეკონომისტებს შორის, აქ მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ჯ. შუმპეტერისა და ტ. ვებლენის შეხედულებებს. რადგან სწორედ ამ მოაზროვნეთა შრომებში მიენიჭა მნიშვნელოვანი როლი არაეკონომიკური ინსტიტუტების ანალიზს ეკონომიკური პროცესების მიმართ.(ლია მეზვრიშვილი)

2.1 კარლ მარქსი ეკონომიკის სოციოლოგის შესახებ

განვიხილოთ კარლ მარქსის მოსაზრება რომელსაც მიიჩნევენ როგორც ეკონომიკური სოციოლოგიის ინტელექტუალური ტრადიციის წარმომადგენელს რამდენიმე მიზეზის გამო. კერძოდ მ. ვებერი კ. მარქსს განიხილავდა ახალი ეტაპის სოციალური ეკონომიკის პიონერად. თუმცა მ. ვებერის შრომები სწორედ კ. მარქსთან ანტაგონისტური დიალოგი და მისი თეორიის „თავდაყირა“ დაყენებაა. ჯ. შუმპერი თვლის რომ კ. მარქსის ეკონომიკურ თეზისებს არ აქვთ დიდი მეცნიერული ღირებულება, თუმცა მისი იდეა კაპიტალიზმის შიგნით არსებული მისი მატრანსფორმირებელი ძალების დინამიკის შესახებ უფრო ღირებული ეკონომიკური თეორიის საფუძველი შეიძლება გახდეს.

გარდა ამისა, მართალია კ. მარქსმა თავის თეორიაში მოახდინა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის იდეების ინკორპორაცია,მას ეკუთნის პოლიტიკური ეკონომიკის ე.წ. „ბუნებრივი კანონების“ ისტორიზაციის ერთ-ერთი პირველი მცდელობა.კ. მარქსი მიუთითებდა,რომ ეს კანონები რელევანტურია მხოლოდ ისტორიული ევოლუციის გარკვეული პერიოდის -

ბურჟუაზიული კაპიტალიზმის მიმართ. მიუხედავად ამისა კ. მარქსმა შექმნა „ყველა ისტორიული ეპოქისთვის“ რელევანტური საზოგადოების მონოფაქტორული თეორია. რომელიც ეკონომიკისა და საზოგადოების ურთიერთობის გაცილებით უფრო დეტერმინისტული ხედვაა, ვიდრე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის ბაზისური დაშვებები. საზოგადოების რეალური სტრუქტურული ბაზაა საწარმოო ძალების კომპლექსი და შესაბამისი სოციალური ურთიერთობები ყველაფერი დანარჩენი ზედნაშენია, რომელიც დეტერმინირებულია ბაზისური სტრუქტურის მიერ. ცვლილებების წყარო არის წინააღმდეგობა ბაზისსა და ზედაშენს შორის. კ. მარქსისთვის ეკონომიკა ახდენს იმ ძალების „ემანაციას“,რომლებიც შემდეგ გარდაქმნიან სოციალურ სამყაროს.(ლია მეზვრიშვილი)

კ.მარქსმა ის პროცესები, რომლებსაც ეკონომისტები განიხილავენ როგორც ანალიზის ბოლო მწკრივს (შემოსავლების დისტრიბუცია), განიხილა როგორც ახალი დინამიკის დასაწყისი. როგორც მკვლევარები მიუთითებენ (ა.მარტინელი), აქედან იძენს მარქსის თეორია სოციოლოგიურ ელფერს, რადგან მისი ყურადღება ფოკუსირებულია კლასებზე. როგორც სოციალურ აქტორებზე და სოციალური ცვლილებების დინამიკა. თუმცა მარქსის კლასების თეორიას აკრიტიკებენ მისი მონოფაქტორულობისა და იდეოლოგიურობის გამო.კლასი მისთვის „დედუცირებულია“ მხოლოდ ეკონომიკური კატეგორიებიდან და იგი არა მხოლოდ იდეალური ტიპია, არამედ სოციალური ერთობა თავისი ცნობიერებით რომელსაც აქვს მისია, რომლის შესრულებაც „გარდაუვალი“.(ლია მეზვრიშვილი)

2.2 მაქს ვებერი ეკონომიკის სოციოლოგიის შესახებ

სოციოლოგიის ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის სოციოლოგია,როგორც განსხვავებული „ინტელექტუალური ერთეული“, შეიქმნა ერთდროულად გერმანიასა და საფრანგეთში გერმანიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მაქს ვებერი.

მ. ვებერი მოდის ეკონომიკის ისტორიული სკოლის ტრადიციიდან, როგორც ხშირად მიუთითებენ. მ. ვებერი მარქსის გავლენასაც განიცდიდა, რადგან ღომების ფონი ყოველთვის მარქსთან ანტაგონისტურ დიალოგს გულისხმობს. როგორც ხშირად მიუთითებენ მან თავდაყირა დააყენა მარქსის თეორია არამატერიალური ფაქტორების წინ წამოწევით, კაუზალობის, დეტერმინიზმის პრინციპის ადეკვატურობის პრინციპის ჩანაცვლებითა და ისტორიული განვითარების მონოფაქტორული თეორიის შესაძლებლობის უარყოფით. რაც შეეხება „ფორმალურ ეკონომიკურ თეორიას“, როგორც ჯ.შუმპეტერი მითითებს მ. ვებერის ცოდნა ამ სფეროში საკმაოდ შეზღუდული იყო.

მ. ვებერის გავლენა ეკონომიკური სოციოლოგიის შემდგომ განვითარებაზე განუზომელია. ეკონომიკისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების ის ასპექტები, რომლეთა ახსნაც

მ.ვებრი ცდილობდა, მოიცავს ფენომენების ძალზე მრავალ ფეროვან სპექტრ. ესაა დამოკიდებულება კაპიტალიზმსა და ბიუროკრატიას შორის, დამოკიდებულება ბაზრის გათავისუგლებასა და ქალაქების ზრდას შორის, დამოკიდებულება რელიგიურ ეთიკას, ეკონომიკურ მენტალიტეტსა და ეკონომიკურ ქცევას შორის, რაც ზოგადად დასავლური რაციონალიზმის კვლევასაც გულისხმობს.

სწორედ მ. ვებერის შრომებში(„ეკონომიკა და საზოგადოება“, პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმისსული“, „ეკონომიკის ზოგადი ისტორია“ და ა.შ) პირველად დადგა კითხვის ქვეშ.

ა. სმიტისეული Homo Economicus-ის -კლასიკური ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ბაზისური აქსიომის -უნივერსალობა.რაციონალური კაპიტალიზმისა და რაციონალური ეკონომიკური აქტორის განვითარება ზოგადად ცხოვრების რაციონალიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ეს არის ანგლოსაქსური „ქმნილება“, გარკვეული ისტორიული მოძრაობის შედეგი და არა ფსიქოლოგიური უნივერსალი, როგორც ამას კლასიკური ეკონომიკური თეორია გულისხმობს. მ. ვებერის მიერ კაპიტალიზმის ისტორიულმა და შედარებითმა ანალიზმა უჩვენა, რომ ომო ცონომიცუს-ის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ არა ეკონომიკურმა ფაქტორებმა ითამაშა(რელიგია, პოლიტიკა)

მ.ვებერის კაპიტალიზმის ინსტიტუციონალურ თეორიას, მრავალფაქტორიანი, ე.წ. კონსტელაციური, ინსტიტუციონალური ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულ ნიმუშად მიიჩნევენ.

როგორც ხშირად მიუთითებენ მ.ვებერის მეთოდოლოგიური პრინციპები სრულადაა რეალიზირებული მის ეკონომიკურ სოციოლოგიაში, რის გამოც მისი ანალიზი დღესაც ძალზე აქტუალურია და უამრავი ემპირიული კვლევის „შთაგონების წყარო“ ხდება.

2.3 ე.დიურკჰეიმი ეკონომიკის სოციოლოგიის შესახებ

ე.დიურკჰეიმს არ ჰქონდა ისეთივე ეკონომიკური განათლება როგორიც მ.ვებერს.ის მეტ ნაკლებად იცნობდა ეკონომიკუს ისტორიულ სკოლას და კლასიკურ ეკონომიკურ თეორიებს. ნ. სმელზერის აზრით, ე. დიურკჰეიმს ,ალბათ, ისიც არ მოსწონდა, რაც წაკითხული ჰქონდა ეკონომიკაში უტილიტარიზმს, ინდივიდუალიზმსა და სპეკულაციური აზროვნებისადმი ძლიერი ანტიპათიის გამო, ბევრ ეკონომისტს ის, უბრალოდ, მეტაფიზიკოსად თვლიდა და მიიჩნევდა, რომ ეკონომიკა უნდა იყოს სოციოლოგიის ნაწილი.

ე.დირკჰეიმი აკრიტიკებდა ორთოდოქს ეკონომისტებს იმის გამო, რომ მათ შექმნეს „ეკონომიკური სამყარო,რომელიც არ არსებობს“, რადგან მათი თეორიები ეყრდნობა ძალზე

საკამათო ბაზისურ დაშვებებსა და მათთან გამოყვანილ დედუქციურ დასკვნებს. ეკონომიკური სოციოლოგიისთვის საინტერესოა ე.დიურკჰეიმის თეორია საზოგადოებაში შრომის დანაწილების შესახებ.ეს თეორიაც გარკვეული პოლემიკაა ეკონიმისტებთან. ე. დიურკჰეიმი ეკონომისტებსა და სოციალისტებს ერთ კატეგორიაში აერთიანებს, რადგან ისინი თვლიან, რომ ეკონომიკა, საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია.

ე.დიურკჰეიმისთვის საზოგადოების უმთავრესი ასპექტებია სოლიდარობის განმამტკიცებელი მექანიზმები (მორალი), ეს პრინციპი ეკონომიკაში შეიძლება განხორციელდეს პროფესიული ერთობების ჩამოყალიბების გზით, რომლებიც რიტუალებისა და სოლიდარობის განცდის სხვა განმამტკიცებელი მექანიზმების მეშვეობით რეალური, ნამდვილი ურთიერთობები გახდება.

ე. დიურკჰეიმმა ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება იმ ინსტიტუციაონალურ კონტექსტზე, რომელშიც მიმდინარეობს ეკონომიკური პროცესები, მაგ. გაცვლის პროცესი გულისხმობს არა ინდივიდუალურ აქტორებს, არამედ ნორმებისა და რეგულაციების მთელს სტრუქტურას, რომელშიც მიმდინარეობს ეს პროცესი.

ბოლოს ე. დიურკჰეიმის დამსახურებად მიიჩნევენ მის სოციოლოგიურ ჟურნალში (Anne sociologiouc) ეკონომიკური სოციოლოგიის სპეციალური განყოფილების გამოყოფას და ახალგაზრდა სოციოლოგების წახალისებას ამ სფეროში სამუშაოდ. ასეთი მუშაობის შედეგი გახდა საფრანგეთში საჩუქრების გაცემის, ფულის, მომსახურების და ხელფასების ევოლუციის პროცესების სოციოლოგიური შესწავლა.

3. სამუშაოს და ეკონომიკური ცხოვრების ურთიერთმიმართება, პრობლემები თანამედროვე შრომის ბაზარზე და შ.შ.მ პირები, როგორც

3.1 სამუშაოის როლი თანამედროვე ეკონომიკური ეპოქაში

უმრავლესობა ჩვენგანის ცხოვრებაში სამუშაოს გაცილებით დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ერთჯერად აქტივობას. თითოეული ჩვენგანის ცხოვრება მეტ ნაკლებად დამოკიდებულია სამუშაოზე ვინაიდან ეს უკანასკნელი ერთი მხრივ წარმოადგენს ჩვენი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას, ხოლო მეორეს მხრივ წარმოადგენს ანაზღაურების წყაროს. გარდა ამისა, სამუშაო არის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იმისა რომ პიროვნებამ გააღწიოს ცხოვრებისეული ჩარჩოებიდან და გაიმრავალფეროვნოს მიღწევების არეალი. სწორედ ამიტომ პიროვნება ძირითადად კონცენტრირებულია მის პროფესიაზე,

კარიერულ წინსვლაზე და ასევე დასახული მიზნის მიღწევაზე. ფაქტობრივად წარმოუდგენელია თანამედროვე ეპოქაში ადამიანი დასაქმების გარეშე ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას არაპირდაპირ ვაკისრებთ პასიურ და უმოქმედო ცხოვრების რიტმს. ხოლო მაშინ როდესაც ადამიანს არც თუ სასიამოვნო სამუშაო პირობები და ერთფეროვანი საქმიანობა აქვს, სამუშაო პირობები და ერთფეროვანი საქმიანობა აქვს, სამუშაო მისი ფსიქოლოგიური განვითარების განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს და მის ყოველდღიურ აქტივობებს გარკვეული მიმართულებით წარმართავს.

სამუშაოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი აქვს:

1. ფული,ხელფასი ის ძირითადი რესურსია, რომელზეც მრავალი ადამიანია დამოკიდებული, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. ამგვარი შემოსავლის გარეშე, ადამიანს ყოველდღიური საარსებო საშუალებაზე უხდება ფიქრი, რაც შფოთვის გამძაფრებას იწვევს.

2. აქტივობის დონე. სამუშაო, ხშირ შემთხვევაში, აღრმავებს ცოდნას და ავითარებს უნარ-ჩვევებს. რუტინული სამუშაოც კი იმ სტრუქტურულ გარემოს გვთავაზობს, რომელშიც ადამიანს ენერგიის დახარჯვა შეუძლია.სამუშაოს არქონის შემთხვევაში, უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობა ნაკლებია.

3. მრავალფეროვნება. სამუშაო ოჯახური გარემოცვისგან განსხვავებულ კონტექსტში მიმდინარეობს. შედარებით ერთფეროვანი სამუშაოს პირობებშიც კი ინდივიდები საოჯახო საქმისგან განსხვავებულ საქმიანობას ეწევიან.

4. დროითი სტრუქტურა. რეგულარულად დასაქმებული ადამიანებისთვის დღე, ჩვეულებრივ, სამუშაო რიტმის მიხედვით არის ორგანიზებული. ხოლო დაუსაქმებელი ადმიანისთვის ძირითადი პრობლემა მოწყენილობაა და მათ დროსთან დაკავშირებით აპათია უვითარდებათ.

5. სოციალური კონტაქტები. სამუშაო გარემოში ადამიანები ხშირად იძენენ მეგობრებს და სხვადასხვა აქტივობებში სხვებთან ერთად მონაწილეობენ.

6. პიროვნული იდენტობა.სამუშაო, ჩვეულებრივ, იმით არის ღირებული, რომ ის ადამიანს სტაბილური სოციალური იდენტობის შეგრძნებით უზრუნველყოფს.

ეს შთამბეჭდავი ჩამონათვალი ნათლად გვიჩვენებს, თუ რატომ შეიძლება შეარყიოს უმუშევრობამ ინდივიდთა რწმენა საკუთარ სოციალურ ღირებულებაში. (გიდენსი) 356გვ-357

„სამუშაოს გარეშე ყოფნის“ ცნებიდან გამომდინარე, სამუშაო ხშირად ანაზღურებად დასაქმებასთან ასოცირდება; თუმცა ეს ზედმეტად გამარტივებული თვალსაზრისია.არაანაზღაურებად სამუშაოს (მაგ,საკუთარი მანქანის შეკეთებას ან საოჯახო საქმეს)ბევრი ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.მრავალი ტიპის სამუშაო არსებობს რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებადი დასაქმების ორთოდოქსულ

კატეგორიას.მაგალითად არაფორმალურ ეკონომიკაში შესრულებული მრავალი სამუშაო არ არის აღნუსხული ოფიციალური დასაქმების სტატისტიკაში.ტერმინი არაფორმალური ეკონომიკა რეგულარული დასაქმების სფეროს მიღმა არსებულ ტრანსაქციებს ნიშნავს.არფორმალური ეკონომიკა, „მალული“ფულადი ტრანსაქციების გარდა, ადამიანების მიერ შინ და გარეთ განხორციელებულ თვითუზრუნველყოფის მრავალ ფორმასაც გულისხმობს.

ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი სამუშაო გარკვეულ ამოცანათა შესრულებას მოითხოვს, რასაც დიდი გონებრივი და ფიზიკური ძალისხმევა სჭირდება.სამუშაოს მიზანი ადამიანის მოთხოვნილებების შესაბამისი საქონლისა და მომსახურების წარმოებაა.საქმიანობა ან სამსახური ის სამუშაოა რომლის სანაცვლოდ ადამიანს რეგულარული ხელფასი ეძლევა. ყველა კულტურაში აკონომიკის საფუძველს სამუშაო წარმოადგენს. ეკონომიკური სისტემა ისეთი ინსტიტუტებისგან შედგება, რომლებიც საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და განაწილებას უზრუნველყოფს.

სამუშაო ფართო ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია.თანამედროვე ქვეყნებში ეს სისტემა ინდუსტრიულ წარმოებაზეა დამოკიდებული.როგორც ამ წიგნის სხავ თავებში აღვნიშნეთ, თანამედროვე ინდუსტრია ფუნდამენტტურად განსხვავდება წარმოების სხვა ფორმებთან ერთად, სოფლის მეურნეობაც ეფუძნებოდა.

3.2 კონფლიქტი შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში და პროფესიული კავშირები დასაქმების პრობლემის წინააღმდეგ

თვით თანამედროვე ინდუსტრიაც მუდმივ ცვლილებას განიცდის - მისი ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ტექნოლოგიური ცვლილებაა.ეფექტური წარმოების მისაღწევად, ტექნოლოგია მეცნიერებასა და ტექნიკას მუდმივად აკავშირებს ერთმანეთთან. მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები ინდუსტრიული წარმოების ბუნების ცვლილებას განაპირობებს. ასევე განვიხილოთ კავშირები და მახასიათებელი ინდუსტრიული კონფლიქტი.მუშებსა და იმ პირებს შორის, რომლებსაც ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, მათზე მაღალი პოზიცია უკავიათ, ყოველთვის იყო კონფლიქტი. სამხედრო ვალდებულების შესრულების, საკვების ნაკლებობის გამო, ამბოხების მოწყობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო მეთვრამეტე საუკუნის ევროპის ურბანულ ტერიტორიებზე.შრომითი კონფლიქტი ამ მოძველებული ფორმით ზოგიერთ ქვეყანაში მე-19 საუკუნეშიც ვლინდებოდა. მაგ. 1868 წელს იტალიის რამდენიმე ქალაქში საკვების მოთხოვნითმრავალი ამბოხება მოეწყო.კონფრონტაციის ამგვარი ტრადიციული ფორმები მხოლოდ სპორადული და ირაციონალური არ იყო. ძალადობის

გამოყენების მუქარამ შედეგი გამოიღო და ხორბალი და მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტი გაიაფდა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მუშებსა და დამქირავებლებს შორის არსებული ინდუსტრიული კონფლიქტი ხშირად არ იყო ბოლომდე ორგანიზებული. კონფრონტაციის დროს მუშები, ხშირ შემთხვევაში, სამუშაო ადგილს ტოვებდნენ და ქუჩებსი იკრიბებოდნენ; ისინი საკუთარ სატკივარს უმართავი ქცევით ან პასუხისმგებელ პირებზე ძალადობით გამოხატავდნენ. გაფიცვის ფორმა, რომელიც დღეს თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის ორგანიზებულ გარიგებასთან ასოცირდება, ნელა და თანმიმდევრულად განვითარდა.1799 წელს ბრიტანეთში კომბინაციის აქტები შემუშავდა, რომელთა საფუძველზე 1800 წელს მუშათა ჯგუფების ორგანიზებული შეკრებები არალეგალურად გამოცხადდა და სახალხო დემონსტრაციები აიკრძალა.თუმცა ეს აქტი 20 წლის შემდეგ გაუქმდა, რადგან ამგვარმა შეზღუდვამ საზოგადოებრივი უკმაყოფილების შემცირება კი არ გამოიწვია არამედ მათი ზრდა. იმატა პროფესიულ კავშირებში გაწევრიანებულ ადამიანთა რიცხვმა და პროფესიული კავშირების მოღვაწეობა მალე მასობრივ მოძრაობად გადაიქცა. კავშირები მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში დაკანონდა, მას შემდეგ მათი შემადგენლობა გაიზარდა და 1920 წლისთვის კავშირებში ფიზიკურად დასაქმებულ მამაკაცთა 60% იყო გაერთიანებული.

გასული საუკუნის დასაწყისში კავშირებსა და გაფიცვების ტენდენციებს შორის პირდაპირი კავშირი თითქმის არ არსებობდა.ამ პერიოდში გაფიცვები უფრო სპონტანურად, მუშათა ორგანიზაციების მხრიდან პროვოცირების გარეშე ხდებოდა. შეერთებულ შტატებში დასაქმების სფეროში უფლებამოსილი პირის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ იმ პერიოდში განხორციელებულ გაფიცვათა ნახევარი კავშირების მიერ არ იყო ინიცირებული. სავარუდოდ თითქმის იგივე მდგომარეობა იყო ბრიტანეთშიც.

არსებობს კითხვა თუ რატომ არსებობს კავშირები? წევრობის დონისა და ძალაუფლების განსხვავების მიუხედავად, კავშირის,ორგანიზაციები ყველა დასავლურ ქვეყანაში არსებობს. ყველა ამ ქვეყნის კანონმდებლობა აღიარებს, რომ მუშაკს, ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, გაფიცვიs ლეგალური უფლება აქვს. კავშირები ინდუსტრიულ გარემოში მუშების მატერიალური ინტერესების დაცვის მიზნით შეიქმნა. სამუშაო გარემო მათ აერთიანებთ,განაპირობებს სოლიდარობის გრძნობას,მაგრამ ამ გარემოში მათ ფორმალური გავლენა ძალზე მცირეა.

თანამედროვე საზოგადოების განვითარების ადრეულ პერიოდში უმრავლეს ქვეყნებში მუშებს არ ქონდათ პოლიტიკური უფლებები და ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ იმ პირობებზე, რომლებშიც უხდებოდათ მუშაობა. კავშირები, პირველ რიგში, მუშაკებსა და დამქირავებლებს შორის არსებულ ძალაუფლებრივ დისბალანსს არეგულირებს. მუშაკი როგორც პიროვნება, მცირე გავლენით სარგებლობდა, მაგრამ კოლექტიურ ორგანიზაციაში მისი გავლენა

საგრძნობლად გაიზრდა. დამქირავებელს ნებისმიერი მუშაკის დათხოვნა შეუძლია,მაგრამ ქარხანა ვერ იმუშავებს მთელი პერსონალის ან მუშების უმრავლესობის გარეშე. თავიდან კავშირებს „დამცველი“ ორგანიზაციის ხასიათი ჰქონდა, რომელიც მუშაკებს დამსაქმებელთა განუსაზღვრელი ძალაუფლების გაკონტროლების საშუალებას აძლევდა.

3.3 შშმ პირთა დასაქმების პრობლემა თანამედროვე შრომის ბაზარზე

დღვანდელ დღეს უმუშევრობა ქვეყნის ერთერთი უმთავრესი პრობლემაა. მით უფრო ეს პრობლემას წარმოადგენს შშმ პირებისთვის, რადგან გარდა იმისა, რომ ძნელია სასურველი სამუშაო ადგილის პოვნა შშმ პირთა შემთხვევაში ამ ძირითად პრობლემას ემატება სხვადასხვა ქვეპრობლემები ისეთი როგორიც არის: სამუშაო გარემოს ადაპტაცია, დამსაქმებლების მიმღებლობა, შშმ პირთა მიმართ სხვადასხვა სტერეოტიპის არსებობა და ასე შემდეგ. საქართველო გაეროს კონვენციას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებათა შესახებ, 2006 წელს შეუერთდა და მისი რატიფიცირებაც მოხდა. მას შემდეგ საქართველოს აქვს პასუხისმგებლობა მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ სრულად დაიცვას შშმ პირების დასაქმების უფლებები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისადმი კოლექტივის დამოკიდებულება რეგულირებულია არა ე.წ. სოციალური პასუხისმგებლობით, ან მოქალაქეობრიობასთან დაკავშირებული, ან სამოქალაქო ვალდებულებასთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებული გრძნობით, არამედ ერთი მხრივ, ტრადიციული მორალით (რომელზეც რელიგიურობა ახდენს გავლენას), ხოლო მეორე მხრივ, ინდივიდუალური ეთიკური ნორმებით. ე.ი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისადმი დამსაქმებლისა და კოლექტივის დამოკიდებულებას განაპირობებს თავად დამსაქმებლის პიროვნება, ისევე როგორც კოლექტივის და მათი წევრების ფსიქოლოგიური პოზიცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირისადმი. სხვაგვარად თუ ვიტყვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირისადმი დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს არა სისტემური ცვლადები (მაგ. კანონი, „მოქალაქეობრივი თვითშეგნება“, სოციალური პასუხისმგებლობა და ა.შ), არამედ ინდივიდუალური და ძნელად გასაკონტროლირებელი ცვლადები (მაგ. ინდივიდის ფსიქოლოგიური პოზიცია განსახვავებულისადმი ზოგადად, აღზრდის თავისებურებები, პიროვნული ნიშნები, რელიგიურობა, ან ტრადიციული მორალი და ა.შ).სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია უნდა განვიხილოთ როგორც ორმხრივი პროცესი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ადაპტირდება სამუშაო გარემოსთან, ისევე როგორც გარემო ცდილობს ადაპტირდეს მასთან. ხშირად ადაპტაციის ეს

ორმხრივი პროცესი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ადაპტაციის ეტაპებისგან, რომლის გავლაც ზოგადად ახალ თანამშრომელს შეიძლება უწევდეს სამსახურში,

კოლექტივისა და დამსაქმებლის ემოციურ პოზიციას ამომწურავად აღწერს სამი ტერმინი: სიბრალული (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მიმართ), ბრალის გრძნობა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც ღირებულება სიბრალულისა და ბრალის გრძნობის სოციო–კულტურული და ფსიქიკური გადამუშავების შედეგს წარმოადგენს და შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც პრიმიტიული, ირაციონალური ტენდენციებისგან ყველაზე მეტად თავისუფალ მდგომარეობად, მიუხედავად იმისა, რომ ის (სოციალური პასუხისმგებლობა) ნაწარმოებია შედარებით ველური და პრიმიტიული მდგომარეობებისგან (სიბრალული, ბრალის გრძნობა). ე.ი. დამსაქმებელს ყველაზე ცუდ შემთხვევაში ეცოდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი (სიბრალული), რის გამოც ასაქმებს მას და ამავე დროს გააჩნია მინიმალური თვით რეფლექსია ამასთან დაკავშირებით. სიბრალული, როგორც დასაქმების მოტივი მთლიანად ეფუძნება ნაკლს, შეზღუდვას, დიაგნოზს, რომლის მატარებელიც შეიძლება იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი. დამსაქმებლის მეორე მოტივი და, შედარებით უფრო გადამუშავებული, არის ბრალის გრძნობა, როგორც სიბრალულის სუბლიმირებული, გაშინაგნებული და ფსიქიკურად გადამუშავებული ვერსია. დამსაქმებელს აქვს ბრალის გრძნობა (დანაშაულის შეგრძნება, სინდისის ქენჯნა), რაც მას შინაგანად აიძულებს დაასაქმოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი (მაშინ როდესაც სიბრალულის განცდა მთლიანად გარედან არის დეტერმინირებული და ეფუძნება კონკრეტულ დიაგნოზს). სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, სამოქალაქო პოზიცია თავისუფალია არა მხოლოდ სიბრალულის განცდისგან, არამედ ბრალის გრძნობისგანაც, თუმცა ნაწარმოებია მათგან. გამოკითხულ რესპონდენტთა მცირე ნაწილი განიცდიდა სიბრალულს, რაც დასაქმების ყველაზე პრიმიტიული ფსიქიკური მოტივია. უმრავლესობა ბრალის გრძნობას. სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც დასაქმების მოტივი ისეთივე იშვიათობას წარმოადგენდა, როგორც სიბრალულის განცდა.(დამსაქმებლის დამოკიდებულებების შესწავლა შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა დასაქმების მიმართ http://vet.ge/wp-content/uploads/2013/10/Qualitative-Report-Final-IPM-GE.pdf)

გარდა ზემოთ აღნიშნულისა შშმ პირთა დასაქმების პრობლემა შრომით ბაზარზე განაპირობებს სხვა გარემო ფაქტორებიც:ტრანსპორტირების პრობლემა ვინაიდან ხშირად დამსაქმებელი უარს ამბობს დასაქმებაზე ტრანსპორტირების ხარჯის აუნაზღაურების გამო ხოლო თავად პირს ტაქსით უწევს გადაადგილება შეზღუდვიდან გამომდინარე რაც ძალიან

დიდ ხარჯებთან ასოცირდება. ასევე დასაქმების ხელისშემშლელ პრობლემას წარმოადგენს თავად შშმ პირის ოჯახსი წევრების დამოკიდებულება თავად ამ პირის მიმართ. ოჯახის წევრები ხ შირად შეცდომას უშვებენ იმ მხრივ, რომ ახორციელებენ პატერნალიზმს. შშმ პირს აღიქვამენ როგორც ინფანტილურ და მზრუნველობის საჭიროების მქონედ და ამიტომ მათზე მიჯაჭვულს ხდიან და არა დამოუკიდებელს. იკვეთება უწყვეტი განვითარების და განათლების უდიდესი როლი, რაშიც ოჯახის ხელშეწყობა გადამწყვეტია. თუ შშმ ბავშვმა სკოლაში არ იარა და განთლება ვერ მიიღო შესაბამისად გაუჭირდება პროფესიის დაუფლება რაც დასაქმების წინაპირობაა. ამრიგად მათი როლი განვითრების საწყის ეტაპზე გადამწყვეტად მნიშვნელოვანია. აგრეთვე ყურადღება გასამახვილებელია ექსპერტთა აზრი აღნიშნულთან მიმართებით კერძოდ ეს უკანასკნელნი მიიჩნევენ რომ ოჯახმა უნდა სცადოს რომ მიეხმაროს ჯერ კიდევ შშმ ბავშვს რომ წავიდეს ბაღში და მიიღოს განათლება. ოჯახის გარდა ასევე პრობლემას წარმოადგენს არაადაპტირებული უმაღლესი სასწავლებლები რის გამოც შშმ პირთა თემის უმრავლესობისთვის არ არის ხელმისაწვდომი განთლების მიღება.

შშმ პირების დასაქმების პრობლემა ყველა ქვეყანას სხვადასხავ გზით ებრძვის და შემუშავებულია პრობლემის აღმოფხვრის სხვადასხვა გზები: დაცული საწარმოები, ინტეგრირებული დასაქმება, ქვოტირების მეთოდი და ორგანიზაციებისთვის შეღავათების დაწესება სახელმწიფოს მხრიდან. რეკომენდირებულია რომ დასაწყისისთვის დასაქმება უნდა დაიწყოს ქვოტირების მეთოდით რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ ვალდებულად დააკისროს ორგანიზაციებს გარკვეული რაოდენობის შშმ პირების დასაქმება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე არ ყოფილა შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა ახლო მომავალში ამოქმედდება საქართველოში სახელმწიფო დასაქმების პროგრამა რომელიც აგრეთვე გულისხმობს შშმ პირთა დასაქმებას, კერძოდ ამ პროექტისთვის შშმ პირთა მოსამზადებლად 2015 წლის 1ივნისიდან თბილისის მერიამ დაიწყო პროექტი რომელიც ითვალისწინებს განსაზღვრული რაოდენობის შშმ პირისთვის დასაქმებისთვი საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება შეძენას. გარდა ამისა, პრობლემის სრულად აღმოფხვრისთვის ერთობ სასიცოცხლოა სახელმწიფომ მოახდინოს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაცია და გაზიარებული ვალდებულებები განახორციელოს. საერთაშორისო დოკუმნტაციაზე ხელმოწერით საქართველო აღიარებს მზაობას დადებითი ცვლილებებისთვის. საბოლოო ჯამში მიღწეულ უნდა იქნეს უარყოფა შშმ პირთა ექსკლუზიის და მათი სეგრეგაციის ვინაიდან შშმ პირები არიან საზოგადოების ღირსეული პირები სხვათა თანასწორად და აქვთ უფლება იცხოვრონ საზოგადოებაში.(მ.სულამანიძე შშმ პირთა დასაქმება შრომით ბააზრზე)